



4088 Minart Pro 300

აღწერა

მოსაპირკეთებელი, დეკორატიული, ფასადური მინერალური ბათქაში ქერქიჭამია, თეთრი ცემენტის ფუძეზე. გააჩნია მაღალი წყალგაუმტარი თვისებები.

გამოყენების სფერო

ფასადის მოპირკეთებისთვის საბოლოო ბათქაშის და გლუვი უხეში ბათქაშის ზემოთ.

თავისებურებები

- დამზადებულია სპეციალურად ფასადის მოპირკეთებისთვის. გააჩნია მაღალი ხარისხი და გამძლეობა მძიმე კლიმატური პირობების მიმართ.
- კარგად ჯდება და ედება ზედაპირს, ხელს უწყობს მუშაობის დაჩქარებას
- მდგრადია დარტყმების მიმართ.
- ადვილად წარმოქმნის ორნამენტს.
- სპეციალური ზომის შემავსებლის მეშვეობით ზედაპირზე ტოვებს ბუნებრივ და დეკორატიულ ორნამენტებს.
- ორთქლგამტარობის წყალობით ზედაპირს სუნთქვის საშუალებას აძლევს.
- შიგნით წარმოქმნილი ტენის გამოდევნით შენობას „სუნთქვის“ საშუალებას აძლევს.

ზედაპირის მომზადება

- გაასუფთავეთ დასამუშავებელი ზედაპირი მტვრისგან, ჭუჭყისაგან, ცხიმისგან, რომელიც ამცირებს ადჰეზიას. ზედაპირი უნდა იყოს მშრალი, სუფთა და მყარი, მარილისა და კირის ნადების გარეშე.
- შეავსეთ ბზარები და გაასწორეთ დასამუშავებელი ზედაპირის დეფექტები KALEKIM TAMIRART ჯგუფის სარემონტო ხსნარების მეშვეობით.

გამოყენების ინსტრუქცია

- 25 კგ MinartPro 300 თანდათან ჩაყარეთ 5-5,5 ლიტრ წყალში, ურიეთ ერთგვაროვანი მასის მიღებამდე, კოლტების გარეშე. შერევა უნდა მოხდეს მიქსერით დაბალ სიჩქარეზე.
- დატოვეთ დუღაბი 5-10 წუთი ჩადგომამდე. მუშაობის დაწყებამდე კვლავ აურიეთ.
- მომზადებული დუღაბი ზედაპირზე უნდა დაატანოთ შემავსებლის ზომის შესაბამისი სისქის ლითონის ქაფჩით შემდეგ, პლასტმასის ქაფჩით დაამატეთ სასურველი ტექსტურა. ხაზოვანი ორნამენტის ფორმირებამდე გირჩევთ დაელოდოთ მინიმუმ 5 წუთი ზედაპირზე დუღაბის გასწორების შემდეგ.
- მომზადებული დუღაბი უნდა იქნას გამოყენებული 3 საათის განმავლობაში.
- ერთმანეთთან დაკავშირებულ ზედაპირებზე ბათქაში უნდა დატანილ იქნეს განუწყვეტლივ ერთ დროს.



4088 Minart Pro 300

მოვლა და გამოყენების შემდგომი რეკომენდაციები

- ახალ მინერალურ ზედაპირებზე დატანამდე უნდა დაელოდოთ 28 დღე, ზედაპირის სრულ გამკვრივებამდე.
- აუცილებელია წინასწარ უზრუნველყოთ შენობის წყალგაუმტარობა.
- ძველი სინთეტიკური საღებავით ადრე შეღებილი ზედაპირი კარგად გაასუფთავეთ ზუმფარის ქაღალდით და მოაშორეთ ზედაპირიდან წარმოქმნილი მტვერი.
- მომზადების პროცესში აკრძალულია ბათქაშში რაიმე სახის უცხო მასალის ან დანამატის დამატება.
- არ შეიძლება ბათქაშის საბოლოო საფარის სახით დატოვება. აუცილებლად შეღებეთ.
- აკრძალულია ბათქაშის დატანა, თუ დატანის შემდეგ 24 საათის განმავლობაში მოსალოდნელია ტემპერატურის $+5^{\circ}\text{C}$ -ის ქვემოთ ვარდნა.
- არ გამოიყენოთ ძალიან ცხელ ამინდში, მზის პირდაპირი სხივების, ძლიერი ქარის, ნისლის, მაღალი ტენიანობის ან წვიმის დროს. ძალიან ცხელი ზედაპირები შეღებვამდე უნდა დატენიანდეს.
- დიდი ფართობის დამუშავებისას ან შესვენების დროს, შეერთების ადგილების დაფარვის მიზნით, გამოიყენეთ ქაღალდის ლენტი ან მოიწვიეთ საკმარისი რაოდენობის ხელოსანი, რომ დაასრულოთ სამუშაო შესვენების გარეშე, „სველი სველზე“ მეთოდით ბათქაშის დატანით.
- აღნიშნული მაჩვენებლები მოცემულია $23^{\circ}\text{C} \pm 2$ ტემპერატურისა და $50\% \pm 5$ ფარდობითი ტენიანობის პირობებისთვის და შეიძლება შეიცვალოს გარემო პირობების მიხედვით.
- არ გამოიყენოთ ჰორიზონტალურ ზედაპირებზე, რომლებზეც შეიძლება წვიმა მოხვდეს.

შენახვა

- ინახება სუფთა და მშრალ ადგილას $+5^{\circ}\text{C}$ -დან $+35^{\circ}\text{C}$ -მდე ტემპერატურაზე, მზის პირდაპირი სხივებისაგან დაცულ ადგილას, მაქსიმუმ სამ იარუსად დასაწყობების გზით.
- დაიცავით ყინვისა და არასასურველი ამინდის პირობებისგან.
- შეინახეთ პალეტები მაქსიმუმ სამ იარუსად დასაწყობების გზით.
- ზემოთ მოცემული მითითებების დაცვის შემთხვევაში, შენახვის ვადა შეადგენს 12 თვეს.

შეფუთვა

- 25 კგ კრაფტ-ტომარა

ხარისხის სერთიფიკატები

- TS EN998-1 (თებერვალი 2017)



4088 Minart Pro 300

ტექნიკური მახასიათებლები

(23°C ტემპერატურისა და 50% ფარდობითი ტენიანობის პირობებში)

ზოგადი მონაცემები

| | |
|---------------|---|
| ფერი | თეთრი |
| შემადგენლობა | ცემენტის ფუძეზე |
| შენახვის ვადა | გაუხსნელ შეფუთვაში მშრალ ადგილას 12 თვე |

ინფორმაცია გამოყენებისთვის

| | |
|---------------------|--------------------------------|
| ხარჯი | 4კგ/მ ² |
| სამუშაო ტემპერატურა | (+5°C) – (+35°C) |
| საჭირო ხელსაწყოები | ლითონის და პლასტმასის ქაფჩა |
| დუღაბის პროპორციები | 25 კგ ფხვნილი/ 5,0-5,5 ლ წყალი |

ინფორმაცია სამუშაო მახასიათებლებზე

| | |
|--|---|
| სამუშაო ტემპერატურა | (-30°C) – (+80°C) |
| სიმტკიცე კუმშვისას - კლასი (TS EN 1015-11) | 3.5 – 7.5 МПа (ნ/მმ ²) - CSIII |
| გადაბმის სიმტკიცე - გაჭიმვის ტიპი (EN 1015-12) | ≥ 0.45 МПа (ნ/მმ ²) / B |
| ნაყარი სიმკვრივე მშრალ მდგომარეობაში(EN 1015-10) | 1450 ± 100 კგ/მ ³ |
| კაპილარული წყლის შეწოვა - კლასი (TS EN 1015-18) | ≤ 0.40 კგ/მ ² წთ.0.5 – W2 |
| წყლის ორთქლის შეღწევისკოეფიციენტი /(μ (TS EN 1745) | ≤ 15 |
| თბოგამტარობის მაჩვენებელი(TS EN 1745) | ≤ 0.57 Вт/მ.კ (ცხრილის მაჩვენებელი) P = 50% |
| ცეცხლის ზემოქმედებაზე რეაქცია(TS EN 13501 - 1) | A1 |
| საშიში ნივთიერებები(EN 998 - 1) | იხილეთ უსაფრთხოების მონაცემთა ცხრილი |

აქ მოცემული გამოყენების ყველა რეკომენდაცია და ინსტრუქცია ეფუძნება ჩვენს გამოცდილებას. კომპანია არ არის პასუხისმგებელი გამოყენების ყველა ფორმაზე, რომელიც დაკავშირებულია პროექტის პირობების ცვლილებასთან. აქ რეკომენდებული მეთოდები არ ათავისუფლებს მომხმარებელს პროდუქტის შესაბამისობის დადგენის პასუხისმგებლობისაგან, პროექტის დეტალების გათვალისწინებით.